



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000099128564921

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 17

02 / ივნისი / 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმონწყობის და გარე განათების სამსახურის“ რეორგანიზაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 106¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს:

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმონწყობის და გარე განათების სამსახურის“ რეორგანიზაციის თაობაზე;

1.2 განხორციელდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმონწყობისა და გარე განათების სამსახურის“ რეგისტრირებულ მონაცემებში სახელის ცვლილება და სახელწოდებად განისაზღვროს ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმონწყობის სამსახური“;

1.3. რეორგანიზაციის/გამოყოფის შედეგად შეიქმნას ახალი იურიდიულ პირი ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური“.

2. განკარგულება გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად

თამარ ყვინიშვილი